დამტკიცებულია
რექტორის 2023 წლის 01 მაისის
№ 14/01 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში

სამეცნიერო ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი

1. ზოგადი დებულებანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი“ შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, უნივერსიტეტის წესდების, უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსის საფუძველზე.

წარმოდგენილი წესი ადგენს უნივერსიტეტში პლაგიატის არსებობის გამოსავლენი კომპიუტერული პროგრამა Strikeplagiarism-ის გამოყენების პროცედურებს, ნორმებს და განსაზღვრავს აღნიშნულ საქმიანობაში უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს.

2. ტერმინთა განმარტებები

1. პლაგიატი – მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში სხვისი შემოქმედების, სხვისი იდეების და გამოგონებების მითვისება, თავის ნაშრომში სხვისი ნაშრომის გამოყენება ავტორის დაუსახელებლად, ავტორობის მითვისება. პლაგიატია, როდესაც ხდება ინტელექტუალური შრომის შედეგების არამართლზომიერი გამოყენება და პუბლიკაციის ავტორობის მითვისება.
2. მსგავსების კოეფიციენტი – ნაშრომის ტექსტების მსგავსება, იდენტურობა სხვა ნაშრომების ტექსტებთან.
3. მსგავსების ანგარიში – ნაშრომის შემოწმებისთვის,პროგრამა „Strikeplagiarism.com“-ის მიერმომზადებული სტატისტიკური ანგარიში.

3. პროგრამა Strikeplagiarism-ის გამოყენების თავისებურებები

1. უნივერსიტეტში დასაცავად მომზადებულ საბაკალავრო და სამაგისტრო (შემდგომში - ნაშრომი) პლაგიატის არსებობის გამოვლენის მიზნით გამოიყენება კომპიუტერული პროგრამა Strikeplagiarism (შემდგომში - პროგრამა).
2. პროგრამა არის კომპანია Plagiat.pl-ის ინტელექტუალური საკუთრება და მისი გამოყენება ან გავრცელება მფლობელის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია.

3. პროგრამა ახორციელებს ნაშრომის შედარებას ინტერნეტრესურსებში განთავსებულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებში არსებულ ლიტერატურულ წყაროებთან (შემდგომში – წყარო) და გამოავლენს მითვისებული, ავტორის დაუსახელებლად გამოყენებული ფრაზების არსებობას.
4. პროგრამა ანალოგიური დანიშნულების სხვა პროგრამებთან შედარებით ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით:
   - სიმარტივით;
   - სისტემის დაცულობით;
   - შემოწმების მაღალი სიზუსტით;
   - პროგრამის მენიუ მორგებულია ქართულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე;
   - შესაძლებლობელიაPDF თუ Microsoft Word ფორმატებში შესრულებული ნაშრომებისშემოწმება.
5. ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომის მიმართ აუცილებელი მოთხოვნაა “Sylfaen” შრიფტის გამოყენება.

4. პროგრამის ადმინისტრირება

1. პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ბიბლიოთეკასთან ერთად.
2. პროგრამის ადმინსტრატორის ფუნქცია შეთავსებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ხოლო და პროგრამის ოპერატორის-ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს. ორივეს გავლილი უნდა ჰქონდეთ ტრენინგი პროგრამა Strikeplagiarism-ის მართვის საკითხებზე.

5. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურა

1. **ნაშრომის ავტორმა ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების თხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს უნივერსიტეტის რექტორს** (იხ.დანართი 1).
2. განცხადებას თან უნდა დაერთოს ნაშრომის ბეჭდური (1 ეგზემპლარი) და ელექტრონული (CD დისკზე) ვერსიები; აღნიშნული ვერსიები უნდა იყოს იდენტური, მოწმდება ოპერატორის მიერ.
3. **განცხადება და თანდართული მასალა გადაეცემა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ბიბლიოთეკის ხელმძღვანელებს.**

4. პროგრამის ოპერატორი ახორციელებს ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების ურთიერთშედარებას.
5. ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების შეუსაბამობის შემთხვევაში, ავტორს ეძლევა უფლება, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს იდენტური ვერსიები.

6. გამეორებით არაიდენტური (შეუსაბამო) ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების წარმოდგენის შემთხვევაში ნაშრომი განსახილველად არ მიიღება.
7. ვერსიების იდენტურობის შემთხვევაში ოპერატორი ნაშრომს ატვირთავს (შეიყვანს) პროგრამაში ინტერნეტსაიტზე Strikeplagiarism.Com.
8. ოპერატორი 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ბეჭდავს პროგრამის საშუალებით მიღებულ შედეგს (შემდგომში – მსგავსების ანგარიში) (იხ. დანართი 2).
9. ნაშრომი, სახელმძღვანელოების გარდა, თუ:

ა) მსგავსების კოეფიციენტი 1 არ უნდა აღემატებოდეს 40%-ს (5 სიტყვიანი წინადადება);

ბ) მსგავსების კოეფიციენტი 2 არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს (25 სიტყვიანი წინადადება).

10. პროგრამის ოპერატორი განცხადებას, ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას და მსგავსების ანგარიშს აგზავნის პროგრამის ადმინისტრატორის ელექტრონულ მისამართზე.

6. პროგრამით მომსახურების პირობები

1. ნაშრომის ერთხელ შემოწმება პლაგიატზე უფასოა.
2. იმ შემთხვევაში თუ ნაშრომის ავტორი მოინდომებს ნაშრომის (დისერტაციის გარდა) წინასწარ შემოწმებას ან ნაშრომი მოწმდება მეორედ (კორექტივების შეტანის შემდეგ), მომსახურება ფასიანია.

აპელაცია

1. შედეგის გაცნობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში სტუდენტს უფლება ეძლევა ფაკულტეტის დეკანს ან ინ რექტორს მიმართოს საჩივრით.

2. დეკანი ან ინსტიტუტის რექტორი ღებულობს საბოლოო გადაწყვეტილებას10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, აპელაციით მიმართვის დღიდან.

3. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში ფაკულტეტი ან უნივერსიტეტი ნაშრომის წარმდგენის მიმართ იღებს დისციპლინარულ ზომებს, რომლებიც გატარდება უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიგა წესების შესაბამისად.

4. აპელაცია შეიძლება მხოლოდ ერთხელ.

დანართი 1

საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის
სახელობის უნივერსიტეტის რექტორს

ნაშრომის ავტორის/ავტორების სახელი, გვარი,
სამუშაო ადგილი, თანამდებობა,
ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი

განცხადება

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, შეამოწმოთ ჩემს მიერ მომზადებული ნაშრომი პლაგიატის არსებობაზე.

ვადასტურებ, რომ:

1. ნაშრომი .....
   .....
   (დასახელება)
   მომზადებულია ჩემს/ჩვენს მიერ და იგიარ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს;
2. ნაშრომის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები იდენტურია.

....

თარიღი ხელმოწერა

დანართი 2

ნაშრომის მსგავსების ანგარიშის ოქმი

ავტორი: .....

ნაშრომის დასახელება: .....
.....

დარგი/სპეციალობა .....

სამეცნიერო ხელმძღვანელი (დისერტაციის შემთხვევაში).....

ფაკულტეტი .....

სამეცნიერო ნაშრომის ტიპი:

- ☐ სადისერტაციო ნაშრომი;
- ☐ სტატია;
- ☐ მონოგრაფია;
- ☐ სხვა

მსგავსების ანგარიშმა აჩვენა, შემდეგი

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

....

თარიღი ოპერატორის

ხელის მოწერა